„ვამტკიცებ“

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

ნინო ხურციძის თასი - 2025
ქალთა ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში

27 - 28 სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი, საჭადრაკო კლუბი “მერანი”, დ. აღმაშენებლის 103

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. სათამაშო წესები:

3.1. დროის კონტროლი: 3 წუთი პარტიის ბოლომდე, 2 წამის დამატებით ყოველ სვლაზე;

3.2. ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად;

3.3. დაითვლება ფიდეს რეიტინგი ელვისებურ ჭადრაკში.

4. მონაწილენი და რეგისტრაცია:

4.1. ჩემპიონატში დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები;

4.2. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა. კლასიკურ ჭადრაკში ფიდეს 2200 და მეტი რეიტინგის მქონე ქალ მოჭადრაკეებს (2025 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით);

ბ. ფიდეს საერთაშორისო წოდების (GM, WGM, IM, WIM, FM, WFM) მქონე მოჭადრაკეებს;

გ. 2024 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატზე 1-5 ადგილებზე გასულ გოგონებს;

დ. საქართველოს 20 წლამდე გოგონათა შორის კლასიკურ ჭადრაკში საუკეთესო ფიდეს აქტიური რეიტინგის მქონე 1-5 მოჭადრაკეს (2025 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით);

4.3.მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/CwCk5jG8eHHwaLXi6

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 26 სექტემბერი 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83;

4.4. მონაწილეთა ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

5. ტურნირების განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	27 სექტემბერი	
გახსნა / მისალმება	28 სექტემბერი	12:45
I ტური	28 სექტემბერი	13:00
II ტური	28 სექტემბერი	13:15
III ტური	28 სექტემბერი	13:30
IV ტური	28 სექტემბერი	13:45
V ტური	28 სექტემბერი	14:00
VI ტური	28 სექტემბერი	14:15
VII ტური	28 სექტემბერი	14:30
VIII ტური	28 სექტემბერი	14:45
IX ტური	28 სექტემბერი	15:00
დახურვა	28 სექტემბერი	15:30

6. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

6.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

ბ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

გ) ურთიერთშორის შეხვედრა;

დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;

ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

6.2. I ადგილზე გასული მოჭადრაკე დაჯილდოვდება ნინო ხურციძის სახელობის თასით, მედლით, დიპლომით და ფულადი პრიზით;

II - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით;

7. საპრიზო ფონდი:

7.1. ფულადი პრიზი - 3500 ლარი:

ადგ.	პრიზი
1	1200 ლარი
2	900 ლარი
3	700 ლარი
4	400 ლარი
5	300 ლარი

7.2. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;

7.3. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.

7.4. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

8. საერთო წესები:

ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 3 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

9. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - სალომე სირაძე